

რას ვაფასებთ პროექტის ფარგლებში?

- როგორია მოსწავლეთა მიღწევები ამა თუ იმ საგანში;
- როგორ არის დამლეული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოთხოვნები სწავლების გარკვეულ საფეხურზე - მოსწავლეთა რა ნაწილი ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს დაბალ, საშუალო, მაღალ ან უმაღლეს საფეხურებზე;
- მოსწავლეთა რამდენ პროცენტს არ გააჩნია მინიმალური კომპეტენცია კონკრეტულ საგანსა თუ საგანთა ჯგუფში (არადამაკმაყოფილებელი შესრულება);
- როგორია სკოლის, კლასის, ცალკეული მოსწავლის შედეგი, რა სფეროში სჭირდებათ მხარდაჭერა და შედეგების გაუმჯობესება;
- რა პოზიცია უკავია კონკრეტულ სკოლას კვლევაში მონაწილე სკოლებს შორის;
- როგორია კონკრეტული კლასის, მოსწავლის რეიტინგული მაჩვენებელი.

შეფასება კონფიდენციალურია - თითოეული სკოლისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ საკუთარი შედეგები, ხოლო შედარებითი ანალიზისათვის - კვლევაში მონაწილე სკოლების განზოგადებული სტატისტიკური პარამეტრები.

გარკვეული პერიოდულობით ტესტირებაში მონაწილეობა სკოლას პროგრესის შეფასების საშუალებასაც აძლევს!

სასკოლო მიღწევების გაუმჯობესებისა და ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია სკოლაში არსებული ვითარების ადეკვატური შეფასება. მიღწევებისა და პრობლემების შესახებ ე. წ. დიაგნოსტიკური სურათის ფლობა სწავლების პროცესის გაუმჯობესებისაკენ მიმართული ქმედითი და კომპლექსური ღონისძიებების დაგეგმვაში ეხმარება სკოლებს. **პროექტის მიზანია**, მოსწავლეთა მიღწევების ობიექტური და კომპლექსური შეფასების საფუძველზე დაეხმაროს სკოლებს არსებული პრობლემების იდენტიფიკაციაში, მიაწოდოს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს (სკოლის დირექტორს, კათედრას, მასწავლებელს) ობიექტური ინფორმაცია არსებული ვითარების შესახებ, რაც შესაძლებელია, ეფექტიანად იქნეს გამოყენებული სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისათვის.

საზოგადოდ იმას, თუ როგორ და რა მიზნით ვაფასებთ მოსწავლეს, სკოლას ან მთლიანად სისტემას, მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ამ სისტემის ფუნქციონირებაზე, რადგან შეფასების ეფექტიანი სისტემა გამოკვეთს არა მხოლოდ სისტემაში არსებულ ხარვეზებს, არამედ მათი გამოსწორების გზებსაც. ჩვენი პროექტის იდეა იყო და არის, სკოლებმა შეფასების შეთავაზებული ინსტრუმენტი გამოიყენონ, როგორც სწავლის პროცესის გაუმჯობესების ინსტრუმენტი. თუმცა პრაქტიკა აჩვენებს, რომ მონაწილე სკოლათა მნიშვნელოვანი ნაწილი მას ასევე იყენებს, როგორც სწავლის შედეგების შემაჯამებელ შეფასებას.

სიახლეები:

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი გთავაზობთ:

ტესტირების ჩატარებას ყველა ძირითად საგანში მე-6; მე-8; მე-9; მე-10 და მე-11 კლასებისათვის (დეტალური ჩამონათვალი იხ. ვებგვერდზე).

ცენტრი წელსაც გთავაზობთ უნიკალურ შესაძლებლობას შეაფასოთ მეოთხეკლასელთა უნარები - წაკითხულის გააზრება (კითხვა) და მათემატიკა (რაოდენობრივი უნარები).

მიღწევის დონეების დადგენას და სკოლისა და მოსწავლის მიღწევების დადგენილ სტანდარტთან შედარებას.

წელს თითოეულ საგანში, კონკრეტული საფეხურისთვის ერთ ვარიანტს გთავაზობთ - ერთ ვარიანტზე მუშაობისას მოსწავლეთა შედეგების შედარება გაცილებით სანდოა. სკოლას შეუძლია ტესტირების ლოჯისტიკა ამ ფაქტორის გათვალისწინებით ააწყოს.

არაქართულენოვან სკოლებს შარშანდელი ვერსიის გამოყენების შესაძლებლობა ექნებათ.